



**დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება N 73**

**2015 წლის 25 აგვისტო**

**ქ. დუშეთი**

**დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ.**

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმდინარე წლის 02 ივლისის №5/39865 წერილის საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 108-ე მუხლის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გადაწყვიტა:**

1. სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ დუშეთში, შ. არაგვისპირელის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 71.51.01.703).
2. სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართი №1-ში მითითებული მოძრავი ქონება.
3. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს სახელმწიფო ქონების მმართველს - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი